სკოლის დასახელება	სსიპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის აკეთის საჯარო სკოლა
მასწავლებელი	მერი ჩიკვილაძე
ნაწყვეტი წიგნიდან	ასტრიდ ლინდგრენი „ძმები ლომგულები“ დასაწყისი
სწავლების საფეხური/ კლასი	დაწყებითი მე-5 კლასი
მისაღწევი შედეგები	V .6. სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა ტიპის ტექსტის წაკითხვა,გაგება და გაანალიზება არსებითი მნიშვნელობის მქონე საკითხების /დეტალების გათვალისწინებით V.10.ნაცნობ თემატიკაზე სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა ტიპის მცირე ტექსტის შექმნა
წინასწარი ცოდნა	მოსწავლეებმა წინა და მიმდინარე სასწავლო წელს შეისწავლეს ლიტერატურული ზღაპრის ნიმუშები.იციან სხვაობა ლიტერატურულსა და ხალხურ ზღაპარს შორის. ასეთი ტიპის ზრაპრების არსებითი ნიშანი: ალეგორიულობა და რეალური და ჯადოსნური სამყაროების თანაარსებობა წინა გაკვეთილზე ტექსტის კარგად გასააზრებლად მასწ ავლებელმა დაგეგმა და განახორციელა 3 აქტივობა 1-ლი : ვარაუდებისა და მოლოდინების ჩამოყალიბება და ტექსტის წაკითხვა 2:ტექსტის გაგება- გააზრებაზე ორიენტირებული კითხვების დასმა 3: პერსონაჟის სახასიათო რუკის შედგენა(წყვილებში)
აქტივობების თანმიმდევრობა და დრო	1 აქტივობა: „5 ყველაზე მნიშვნელოვანი რამ“ 16წთ 2 აქტივობა:“ჩაიხედე ტვინში“ 13 წთ 3 აქტივობა: გამოხმაურების დაწერა „წერილი მეგობარს“ 17წთ

აქტივობა 1-ლი	აქტივობა 1-ლი.A ფაზა. აქტივობის მიზნი: მასწავლებელმა დაადგინოს,რა იციან მოსწავლეებმა წინა გაკვეთილზე წაკითხული და გააზრებული ტექსტიდან გაიაქტიურებენ არსებულ ცოდნას.ტექსტიდან ამოკრებენ მნიშვნელოვან ინფორმაციას.გამიჯნავენ მთავარ და მეორეხარისხოვან ინფორმაციას აქტივობის აღწერა მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს ფურცელზე ჩამოწერონ ხუთი ყველაზე მნიშვნელოვანი რამ,რაცშეიტყვეს მოთხრობის რომელიმე პერსონაჟის შესახებ იქნება ეს თვისება,სიტყვები,მოქმედებები.ის,რასაც სხვები ამბობენ პერსონაჟის შესახებ.მათ ევალებათ ზეპირად დაასაბუთონ რატომ მიიჩნიეს მნიშვნელოვნად ეს საკითხი პრეზენტაციის შემდეგ მასწავლებელი აკეთებს წამახალისებელ კომენტარს კლასის მიმართ აქტივობა 2. B ფაზა.აქტივობის მიზანი: მოსწავლეებმა შეძლონ დეტალებზე დაკვირვების უნარის გამომუშავება გაიაქტიურებენ წარმოსახვისა და შეოქმედებით უნარ-ჩვევებს აქტივობის აღწერა მასწავლებელი აწყვილებს მოსწავლეებს,ურიგებს მათ მცირე ზომის ფორმატის ფურცლებს და სთხოვს დახატონ მასზე ადამიანის დიდი ცარიელი თავი და შიგ ჩახატონ ან ჩაწერონ სიმბოლოები,სიტყვები და სურათები,რომლებიც მათი აზრით,რომელიმე პერსონაჟს გონებაში უტრიალებს. ახსნან და მცირე მსჯელობა მოაყოლონ მას პრეზენტაციის შემდეგ მასწავლებლის კომენტარი

	აქტივობა მე-3 C ფაზა „წერილი მეგობარს“ აქტივობის მიზანი:გაკვეთილის მესამე ფაზაზე მოსწავლეებმა შეძლონ გაანალიზება და შეჯამება მიღებული ინფორმაციის.გაიაქტიურონ ანალიზისა და კრიტიკული აზროვნების უნარები აქტივობის აღწერა: მასწავლებელი მოსწავლეებს უხსნის აქტივობის არსს; მათ ევალებათ მისწერონ წერილი მეგობარს , სადაც ურჩევს, რატომ უნდა წაიკითხოს ეს ტექსტი მოსწავლეები წერილს დავალების რვეულში წერენ პრეზენტაციის შემდეგ გაკვეთილის ბოლო წუთებში მოსწავლე და მასწავებელი აფასებენ გაკვეთილს .მოსწავლეები თავიანთ თავს .მასწავლებელი განმავითარებელ შეფასებას აძლევს კლასს პირველი აქტივობის მიხედვით განმავითარებელი შეფასების რუბრიკა

კრიტერიუმები	დაბალი	საშუალო	კარგი	მაღალი
ლიტერატურული ზღაპრის ტიპის ტექსტის ანალიზი	მოსწავლე ვერ ახერხებს ამ ტიპის ტექსტის ანალიზს	მოსწავლე ნაწილობრივ ახერხებს ამ ტიპის ტექსტის ანალიზს	მოსწავლეს შუძლია ამ ტიპის ტექსტის ანალიზი	მოსწავლეს კარგად შეუძლია ამ ტიპის ტექსტის ანალიზი
არსებითი დეტალების გამოკვეთა ტექსტში	მოსწავლეს არ შეუძლია არსებითი დეტალების გამოკვეთა ტექსტში	მოსწავლეს ნაწილობრივ შეუძლია გამოკვეთოს არსებული დეტალები ტექსტში	მოსწავლეს კარგად შეუძლია გამოკვეთოს არსებული დეტალები ტექსტში	მოსწავლეს კარგად შეუძლია არსებითი დეტალების გამოკვეთა ტექსტში